

1914

№ 29

12 დეკემბრისთვის 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 5 მან. ==



ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-


იური და სალიბერატურო შუიხნალი

ფელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

ბისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.



ზანგები საფრანგეთის ჯარში, იერიშით მიდიან გერმანულ პოზიციებზედ.

F651

ქურნალ „კლდის“ კანტორისაგან



ვისაც ქურნალის ფასი სრულიად არა აქვს გადახდილი, შემდეგ ნომრიდან ქურნალის გზავნა მოესპობა.

ყველა ხელის მომწერსა ვსთხოვთ ადრესის შესაცვლელად წარმოადგინოს ხოლმე 5 შაური.

ს ა რ ჩ მ ვ ი:

1. შეთაურა. 2. სუიდეა-გასუიდეა მამულისა.—**აღ.** ყიფშიძისა. 3. „შვიდი კაზაკი“.—**ნაცარასი** 4. მძინარე ამირანა.—**დ.** კასრაძისა. 5. ქრანიაკა. 6. ჰრესა. 7. ფულუბის გაფლანგვა სთა. აზნაურა გიმნაზიაში.—**დ.** ღუმბაძისა. 8. ქურნალ-გაზეთებიდან. 9. სამხედრო-ტექნიკური გაუმჯობესებანი.—**მეომარისა.**


თბილისი. 12 ღვინობისთვე 1914 წ.

დღეს, როდესაც მთელ ქვეყნიერებაზედ ატეხილია ბრძოლა ბუმბერაზ ერთაშორის, როდესაც შინ და გარედ ირღვევა ყოველი ხელოვნური კანონი, რომ ადგილი დაუთმოს ერთს ძლიერს ბუნებრივს კრისტალიზაციას დიდ და პატარა თავისუფალ თუ სხვა სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეულ ეროვნებათა; როდესაც ყოველს ერს უჩქროლავს გული რომ საბოლოოდ დაწყნდება ამღვრეული წყალი ყოველგვარ ძალდატანებისა და უსამართლობისა, რომ დაიღეკოს თავისუფალ ერთა თავისუფალი ინდივიდუალური სახე—დღეს საჭიროა ქართველი ერის შეერთდეს ერთ მჭიდრო ორგანიზმად, რომ თანაბარი პასუხი გასცეს, თავისი განსაკუთრებული პასუხი საქვეყნო მოვლენებს.

თავისუფალ ინგლისის ფარგლებში მოქცეული ერნი ერთგულად სწევენ ჰაპანს მეტროპოლიისას, მაშინ როდესაც ძალმომრევი ავსტრო-უნგრეთი თითქმის დარღვევის გზას ადგია მარტო იმიტომ, რომ დროზედ ვერ მოახერხა არაბუნებრივად შეკოწიწებული ერნი—დაეკმაყოფილებინა, დღევანდელი ომი მას თითქმის ისევე ემუქრება, როგორც შარშანწინდელი—ოსმალეთს, დამთრგუნველს ეროვნებათა ინტერესებისა. საფრანგეთი და გერმანია, როგორც ერთ-ეროვნებიანი სახელმწიფოანი, დღეს უმაღლეს ძალთა შეტევა-შეჯახების ფალავანნი არიან და დიდი რუსეთის განმგებელთაც კარგად იგრძნეს თუ რა მნიშვნელობა აქვს შემადგენელ ერთა სოლიდარობას: მიმართვა დიდი მთავრისა პოლონელებისადმი, ლატიშთა სკოლების ეროვნულ

ნიადაგზედ დაყენება, სომხებისა გულახდილი მფარველობა შინ და გარედ—ყველა ეს მოწამეა ბუნებრივი შეთვისებისა მაღალ შემაერთებელ-შემაკავშირებელ პრინციპისა. ეს პრინციპი რამდენადაც ძლიერი და ფართოა სახელმწიფოს შიგნით, იმდენად სოლივით მაგარი და დამრღვევია მოწინააღმდეგეთა ბანაკში—ამასაც მოწმობს მიმართვა მთავარსარდლისა ავსტრიელ ერებისადმი, მიმართვა, რომელსაც უფრო მეტი დამრღვევი ძალა აქვს, ვიდრე ყუმბარას და ხიშტებსა.

მართალია, ქართველი ერი უყურადღებოდაა დატოვებული და არამც თუ ოფიციალურად, რუსულ პრესაშიაც კი არ იხსენიება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მის შვილებს მამაცურად სისხლი დაღვარონ და მტერს თავი შეაკლან, რადგან მსხვერპლი თვით უფლისგანაც დაფასებულ არს. არ ვიხსენიებთ იმითაც რომ სახელმწიფოებრივ გაჭირვების დროს, დროებით გადავდეთ ჩვენი კერძო ინტერესები და უმთავრესად იმიტომაც რომ, ღვთით, ჩვენი ტერიტორია, ჯერ არ გამხდარა საომარ ასპარეზადა. სრული იმედია, რომ არც გახდება, მაგრამ მაინც არ დაგვივიწყებენ, რადგან სიცოცხლის და სისხლის მსხვერპლი არ დაივიწყების, თუ ერი გაედევნა მას და სოლიდარულად აღახვანა ბაგენი თვისნი.



სყიდვა-გასყიდვა მამულისა და

საადგილ-მამულო კომისია



ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობა დიდის ხალისით ჰყიდულობს თავად-აზნაურთა მამულს. თავად-აზნაურობას რომ დაყოფილ-დანაწილებული ჰქონდეს მამულ დედული, სადავო რომ აღარაფერი ჰქონდეთ ერთმანეთში და რიგიანი, კანონიერი საბუთები ექიროთ ხელში, უფრო სწრაფად იწარმოებდა აღმოსავლეთ საქართველოში მამულის სყიდვა-გასყიდვის საქმე.

მეორე თავსატეხი და დიდად შემაფერხებელი მიზეზი ისაა, რომ ჩვენს გლეხ-კაცობას ნაღდი ფული არა აქვს გადადებული, მამულის შესაძენად. დიდი ხანია გაღარიბდა ჩვენი სოფელი და დღეს მხოლოდ დღიურად სცხოვრობს და ვაინაჩრობით მიდის იოლად. სათავნოები აღარ მოიპოვება სოფლად აღარც რძალ-პატარძალთა და დიასახლისთა შორის და აღარც ოჯახებში. თვით დიდნი ოჯახნი დაიქცნენ და დაძაბუნდნენ. სადღაა დღეს დიდი ოჯახი, სავსე დოვლათით, ხარ-კამეჩით, ცხვრითა და საოჯახო შენობით! ხარჯმა და ბორჯმა, მთავრობისა და სოფლის გადასახადმა დიდად შეაწუხა და დააუძლიურა სოფელი, ესე ვსთქვათ წელში გასტეხა. ქართლ-კახეთის სოფლისთვის დღეს ოცნებაა ის დოვლათი, რომლითაც ფუფუნებს გერმანელთა ახალშენი, სადაც ათას თუმნობით ალაგია აი თუნდ ისეთი თანხა, როგორცაა საობლო თანხები. ამ თანხმების შემწეობით ახალშენელნი ათას დღიურობით ჰყიდულობენ და ახალ-ახალ ახალშენებს აჩალებენ.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოება ასე უკულმართად მოეწყო ჩვენის სოფლისთვის, მიუხედავად იმისა რომ ჩვენს სოფელს პირი უბრუნა და ზურგს ვერ უმაგრებს მთავრობისა და ერობის მაღლიანი ხელი, ჩვენი სოფელი წელზე ფეხს იდგამს და ახერხებს მამულის შეძენას. მართალია, დიდს გაჭირვებას იტანს სანეტარო მიზნის მისაღწევად, მაგრამ რა ვუყოთ. წინ მივდივართ, უკან ხომ არა. ეს კი სიცოცხლის ნიშანია და არა სიკვდილისა. სიკვდილი და დაძაბუნება მტერსა და დუშმანს, ჩვენს სოფელს კი ღებენა და სიმხნევე.

მამულის მყიდველს მამულ-დედულის შესაძენად ბევრი გზა აქვს ამ ეამად. იგი შოულობს

ფულს უწინარეს ყოვლისა საგლეხო, სახელმწიფო და სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკებში. როდესაც აქედან აღებული სესხი არა ჰყოფნის მამულის ფასის გასასტუმრებლად, მყიდველი მიმართავს ხოლმე იმ თანხას, რომელსაც ეწოდება სასოფლო-სამეურნეო თანხა. ეს თანხა გროშობით გროვდება, ეკუთვნის სოფელს და მამულის შესაძენად გაჩენილი. ამ თანხიდან აღებული სესხი უსარგებლოა. წესიერად რომ იზრდებოდეს ეს მაღლიანი თანხა, ჩვენი სოფლის ბედს ძალიან ვერ დაჰყუფდა მაშინ თვით სარისტთან გერმანელ ახალშენელების საობლო თანხანი ფეხს ვერ გასკიმავენ ჩვენ სოფლელთა სასოფლო-სამეურნეო თანხებთან.

სასოფლო თანხა ხშირად იმდენი არაა, რაოდენიც საჭიროა მამულის ფასის გასასტუმრებლად. მაშინ გლეხი—მყიდველი მიჰმართავს ხოლმე თვის გახვრეტულ ჯიბეს და იქიდან ალაგებს რაც კი რამ მოიპოვება,

დანიავებულ ჯიბის შემდეგ გლეხი მიჰმართავს ხოლმე ოჯახის ავეჯს, შენობას (ბოსელს, საბძელს), საწარმოვო იირაღს, საქონელს და ზოგჯერ წლიურს სარჩოსაც ჰყიდის საქირო ფულის შესავსებად. როცა ამ მრავალ გზით შეკრეფილი თანხა მაინც საკმარისი არ არის ხოლმე, მამულის მყიდველი იღებს ვალს კერძო მოვახშისაგან 20—30 პროცენტად, ან წვრილ საკრედიტო დაწესებულებებისაგან 12 პროცენტად.

სულ უკანასკნელად მამულის მყიდველნი მიიქცევიან ხოლმე საადგილ-მამულო კომისიაში,— ამდენ-ამდენი გვაკლია და გვასესხეთო. კამისია შეძლებისა და გვარად დახმარების ხელს აწვდის და აძლევს ვალს მოკლე ვადით და სულ მცირე სარგებლით, ესე იგი 4 პროცენტად.

საადგილ-მამულო კომისია ღონიერი რომ იყვეს თანხებით, სასწაულს მოახდენდა, მაგრამ მაგარი ისაა, რომ იგი უთანხო და ულონოა. მისი გაძლიერება და გაღონიერება უპირველესი საგანი უნდა იყვეს ჩვენის ეკონომიურის პოლიტიკისა. იმას რა ემჯობინება, რომ ჩვენს თავს ჩვენვე მოუაროთ, ჩვენს წყლულს ჩვენვე დავადოთ მალამო.

დღევანდელი ლაშქარ-ომიანობა დიდად შეაფერხებს ამ სასიქადულო ოპერაციებს.

ბანკის ქალაქები დაეცა და როდის აიწვეს, ვინ გამოიკნობს. საგლეხო ბანკის მოწმობანი ჰლირს ამ ქამად თითქმის ერთი მეხუთედით ნაკლები. ხუმრობა არ გახლავთ მყიდველისთვის ერთი მეხუთედის დაკარგვა. ას თუმან სესხზე ოცი თუმანის დანაკლისი დიდი და დიდი ზარალია.

მოკლედ ასეთია დღეს ვითარება საადგილ მამულთა ოპერაციებისა. მიუხედავად ყველა ამისა, საადგილ-მამულო კომისიის წრეგანდელი მოქმედება ფრიად საყურადღებოა. იგი ხელს უმართავდა მამულის მსყიდველსაც შეღავათიან სესხით და შემწეობასაც უზენდა ისეთს დაწესებულებას, როგორცაა ს. ყაზბეგში არსებული საქსოვი სახელოსნო. უკანასკნელს მისცა 500 მან., ხოლო საქაშეთის მეხილეთა ნორჩ საზოგადოებას 100 მან. ს. რუისში დიდი ხანია მოღვაწეობს ქ. ნი. დ. დეკანოზიშვილისა. იგი ამზადებს საუცხოვო აბრეშუმის თესლს. ფარდულის ასაგებად კომისიამ ასესხა პირიანი სარგებლით (5) ასოცდაათი თუმანი.

კახეთში ეს ორი წელიწადია მოქმედობს თუშთა და კახთა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს შეიძინოს საღეწი მანქანები. უკვე შეიძინა ორი დიდი მანქანა ლირებული თითქმის 20,000 მანეთად. ამ ფრიად სახეირო და სასარგებლო ამხანაგობას კომისია მიეშველა სესხით 5000 მანათით.

მიმდინარე 1914 წელს აი ვის დაეხმარა კომისია მამულის შეძენაში: 1) სოფელმა წალასყურმა 578 დესეტინა მამული ტფილისის ახლო. კომისიამ ასესხა 3000 მ. 2) ჯავახეთსა და სამცხე-საათაბაგოს შესდგა ამხანაგობა ორმოცის კომლისა. ამათ შეიძინეს თ. ბარათაშვილებისაგან მამული აღბულაღისა და მანგლისის რაიონში 1297 დეს. ამ ქართველთა პირველ ახალშენს კომისიამ ასესხა 7000 მანათი, 3) თიანეთში ხევსურებმა იყიდეს 35 დესეტინა ელ. პამპალოვისაგან და კომისიამ ასესხა 600 მან. უამსესხოდ სყიდვა მამულისა ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა, რადგან საგლეხო ბანკიდან სესხის აღება გაძნელდა. 4) ს. საქაშეთის ამხანაგობამ შეიძინა თითქმის 600 დეს. სარწყავი მამული. საქმის გასასწორებლად საგლეხო ბანკში საჭირო იყო 1000 მანეთი და ამ ფულით ხელი გაუმართა ამხანაგობას. 5) ს. ბარნაბიანთ-კარმა შეიძინა მამული თ. გ. ო. ამილახვის მეუღლისაგან პირად აღებულ აშურიანში 154 დესეტინა, დასჭირდათ ორასი თუმანი და კომისიაში იშოვნეს. 6) ს. ბოსლოებმა შეიძინეს სომხით-საბარათიანოში იზრაილის მწვალელებისაგან 300 დეს. ისესხეს 2000 მ. 7) მდინარე

ივრის პირის გასამაგრებლად თ. თ. ნ. ჩოლაყაშვილს-ყარაბულაღელს ათხოვა ერთი წლით 1000 მან. 8) ყვარლის მცხოვრებთა ამხანაგობას ათხოვა 700 მან. ამხანაგობამ შეიძინა თ. ალ და დ. ნიკ. ქავჭავაძიანთაგან 530 დეს. 9) ნემო-გორის ამხანაგობას ასესხა 1000 მ. შეიძინა ამხანაგობამ 84 დესეტინა, დესეტინა 164 მ. 20 კაპეკად. 10) თ. მ. ა. ანდრონიკაშვილს დაეწვა ბაღიაურში შესანიშნავი წისკვილი. მის აღსადგენად კომისიამ ასესხა ანდრონიკაშვილს 6500 მან. 11) ს. თორტიზის აზნაურებმა და გლეხებმა უნდა გამოიყვანონ სარწყავი არხი დიდ ლიახვიდან, სიგრძით ათი ვერსი. საჭიროა თითქმის 10,000 მ. ამ საქმის დასასრულებლად გლეხებს აქვთ სამეურნეო თანხა 4000 მ. და ეს ფული იქიდან ისესხეს. აზნაურებს წილად შეხვდათ 2000 მან. ნაღდი. ეს წილი კომისიამ ათხოვა თორტიზის აზნაურებს. 12) ს. არაშენდამ (საგურამო) საჯარო ვაჭრობით შეიძინა 350 დეს. დააკლდათ 12.000 მ. ექვსასი თუმანი კომისიამ უშოვნა სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ხოლო ექვსასი თვითონ ასესხა. თუ კომისია დროზედ არ მიშველებოდა სოფელს, მამულიც ეკარგებოდათ და ბეც 4000 მან. 13) ს. ყალამშა სომხით-საბარათიანოში; იყიდეს იზრაილის მწვალელებისაგან 200 დეს. მამული, ყოფილი თ. ქობულაშვილებისა. კომისიამ ასესხა ამხანაგობას 1400 მან. 14) დიღმელებმა იყიდეს შარშან და წრეულ ორი მამული: ერთი განსვენებულ დ. სარაჯიშვილისა წოდორეთი 795 დეს. და ვეძისი—688 დეს. აზნაურ შიოვეისაგან. ამხანაგობას დასჭირდა 1250 მ. და კომისიამაც ასესხა ორის თვით.

ამას გარდა საადგილ-მამულო კომისიამ თავის სახარჯო თანხიდან გადასცა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას წრეულ 12.000 მანათი.

ამ კომისიისავე ხელში მყოფი სასოფლო-სამეურნეო თანხა ხმარდება შემდეგ მამულების შეძენას: საბურთალოზე—120 დესეტინა, ატენისას და ყვარლისას. ატენში შეიძინა 32 დეს. 7000 მანეთად. ამ მამულს უვლის და ჰპატრონობს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ხოლო ყვარლისას (ილიასეული სახლ-კარი 1 დეს.) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილება.

დასასრულ ურიგო არ იქნება, თუ არ დავივიწყებთ და გვეხსომება, რომ ტფ. გუბერნიის გლეხთა სასოფლო-სამეურნეო თანხმა (მისი დამაარსებელი და სულის ჩამდგმელია თავ. გ. დ. შარვაშიძე. ხოლო თანამოზიარე და მრჩეველი ილია ქავჭავაძე), ერთად ერთია ამ ტიპისა მთელს იმპერიაში. ერთად

ერთია აგრედვე თვისის მოქმედების ხასიათით ჩვენი საადგილ-მამულო კომისია მთელს რუსეთში. ჯერ-ჯერობით რუსეთის თავად-აზნაურობას ამის მზგავსი დაწესებულება არ შეუქმნია და როდის ინებებს, არ ვიცით. საადგილ-მამულო კომისიის ნათლიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს მიხ. ვ. მაჩაბელი.

ალ. ყიფშიძე.

„შვიდი კაპიკი“

ჩვენ ყურამდის მოაღწია უტყუარმა ამბავმა.

ახალ ცნობილ სომხურ გაზეთ „კავკასკოე სლოვო“-ში ქართველებიც მუშაობენ.

ყოველ გულუბრყვილო ქართველისათვისაც ნათელია ის, რა მიზნისათვის დაიბადა და სცოცხლობს ეს გაზეთი:

განსაკუთრებულ სომხის პოლიტიკისათვის.

იმ პოლიტიკისათვის, რომლის საამური გემო ამ უკანასკნელ წლებში ქართველობამ იგემა... და ერთსულოვნადაც ზურგი უბრუნა. რომ ამ

სპეციფიურ გემოს თავი მალე მაინც არ ეჩინა, მისმა მესვეურებმა ბ. ბ. დოლოუხანოვ-ხატისოვებმა რუსი რედაქტორი მოიწვიეს.

ეხლა ქართველ „მწერლებსაც“ აგროვებენ და სჩანს კიდევ მოაგროვეს

ამ გაზეთის პარონნი კაი ფასსაც იძლევიან: პეტიტის თითო სტრიქონში—შვიდ კაპიკს.

სჩანს ამ კაპიკების გემოშ ზოგი ერთი ქართველნიც, და მათ შორის „ცნობილი მოღვაწენიც“ წაიტყუა.

და ეხლა მათ ამ გაზეთის მუდმივ თანაშემწეებადაც ნახავთ.


თუ ბარიათინსკის ქუჩაზედ ჩაივლით, რედაქციის ბალკონზედაც ხშირად იხილავთ...

მაგრამ მარტო იმათ ზურგებს, რადგანაც სახეს მალავენ.

პატიოსან ქართველობისაგან მალავენ.

ჩვენც დავმალავთ... რადგან მეტად უსიამოვნოა იმ სახეთა ხილვა, რომელთაც ზედ აწერია: „შვიდი კაპიკი“.

ნაცარა.



გერმანული ზარბაზანი ჰაეროპლანების და ჰაერის გემთა საწინააღმდეგოდ.

მძინარე ამირანი

(ძღვანად ქ-ნ ეკ. გაბაშვილს)

„კავკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭული ყვავ ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“
აბაჯი.

„ოჰ, დედაჩემო! საღმრთო კერაე' ოჰ, ჩემო ერო! ჰხედავთ, რარიგად ვიტანჯები სიმართლისათვის?“
მხდილე (პრომეთეოსი).

...ქალწულმა განთიადმა ფრთები შეათამაშა. შიშველ მხრებზე ჩამოწეწილი ნაწნავები შეისწორა, ღიმილის სამოსელში გამოიკვალთა და ფეხ-აკრებით მიეპარა მდებლობა მიძინებულს ყრმა სიცოცხლის ღმერთსა. არც კი აცალა გამოფხიზლება: ხუჭუჭა ნაწნავები შამოახვია, შმაგი კოცნით გამოაბრუა და, ვიდრე ის კოცნას დაუბრუნებდა, ელვის სისწრაფით აიზიდა ვარდისფერ ღრუბლითა. ცადვერცხლის ზარი აწკრიალდა. ცქვიტმა ტოროლა-მაც ვერ დამალა თვის აღტაცება: ბზრიალ-ტრიალით მზის ასულის სადებდოფლო ცეცხლის ხომალდს წინ გამოუძღვა და მომხიბვლელ ხმით დაიძახა:

— ვიშ! გაზაფხული!.. გაზაფხული!..

ხევ-ხუვში ვილაც ჯადო ქარი მაჯავრელასავით წამოიჭრა, ნარნარი ხმები წამოიკრია და იელსავით მოსდო მთა-ბარსა:

— ვიშ? გა...ზაფხული!.. გა...ზაფხული!..

ფოთლების ჩრდილ-ქვეშ განაბულმა ნიავემა იდროვა. ფრთები გაშალა. გაინავარდა ველის პირად და ჯერაც გონზე ვერ მოსულ სიცოცხლის ღმერთს ნორჩი გულ-მკერდი აუღელვა. ისიც წამოხტა. პირუბანელა აედევნა. ოდნავ შეჭხვრიპა ვარდის პირით ცის აიაზმა და კდემამოსილ ყვავილებთან მოჰყვა არშიყობასა. ლაზღანდარა! ნიავეთან დამოყვრებით მის საქციელს იმეორებდა: ქალწულ კაკიებს სიწითლით სწვავდა. რიგს კაბა შემოაფხრიწა, რიგს გულის პირი, რიგს ოქრომკედი თავსაკრავი, რიგს კიდევ აღმასის ყელსაბამი ჩამოაწყვიტა და იქვე მიწაზე გაუბნია, რა არის ანგარე-ბაში არ ჩამომართვან... ამგვარი სამკაულების შეძენისთვის არ მოვსულვარო. თან კი ნიავს ვერ ჰშორდებოდა, ხელი-ხელ გადახვეული, თვითონაც სამოს შეფხრეწილი, თმა-აწეწილი ცეკვით მიჰხტოდა და გიჟურ სიმთვრალით იმღერდა:

— ოჰ, სიყვარულო... სიყვარულო... სიცოცხლის წყაროვ!

ჯადო-ქარი გამოძახილი საიდანლა^ს უცნაურად გამოტყვრა. ახლა ამის ხმა მოატყვანდა^ს იმომოჰყვა ძახილს:

— ოჰ, სი...ყვარულო!.. სი...ყვარულო!.. სი...ცოცხლის წყაროვ!..

ანკარა წყაროს პირზე სუსამბარს ღია გულ-მკერდზე შროშანა ჰეპელა მიჰხუტებოდა. ვნებით დამთვრალს წყვეტების დროს მარმაშის ლეჩაქი გადასცურებოდა, სიშიშველ ვერაფრით დაეფარა და ვერ შეენიშნა, თუ მთვარის სხივებზე ამოცოცებულ ფერიები როგორ შემოჰხვეოდნენ და დამცინავი ყიჟინით მის გარშემო ფერხულს უვლიდნენ. თვით ფერიებიც გართობილიყვნენ ამ თამაშით, როდის—როდის შეჰნიშნეს, განთიადმა წამოგვისწროო. ეხლა იკითხეთ მოკურცხვლა. ყიჟინ-კისკისით გადაეშენენ ზვირთთა შუაგულს. ჯერ წითელ თევზებს დაუშინეს ოქროს კენჭები, სდიეს, სდიეს, ვიდრე მათ ღურღუმში არ შეიტყუეს. მხოლოდ აქ შესდგნენ. აქეთ-იქით გაცვივდნენ, რიგი ეახლა თვის დედოფალს ფსკერის უბეზე, რიგი კიდევ მარგალიტით მორთულ ლოკოკინის სადაფის კოშკში შეიმალა. მათგან მიტოვებულ ადგილას კი ბაქიამ იწყო ხტუნაობა. მას მალე ნუკრი გამოუხტა, გაუთამაშა... იქ გნოლთა გუნდი გამოგოგდა... კაკბე-ბიც სადლაც ახმაურდნენ... ირგვლივ კი მაყვლოვან ქალაკში ფრინველთა გუნდმა ჟღივილ-ხივილით შესძრა არე და საღვთაებრიო ჰიმნი სიცოცხლის ორკესტრზე დაიმღერა, ყოველგან სიხარული... ყოველგან ცეცხლი ღვთაებისა... ცის ჰარმონია... თვით მზის ასული ცეცხლის დროშას მოაფრიალებს და სრულ მშვენების სახებასა აღტაცებად ჰქმნის!

— ვიშ, ვიშ, სიცოცხლე!.. აღტაცება!..

იძახის ყოველი არსი და ამ ჰიმნს დაუდევარი ჯადო-ქარი კვლავ კიდით-კიდემდე დააქროლებს მაჯავრელა ხმით:

— ვიშ, ვიშ!.. სი...ცოცხლე!.. აღტა...ცე-ბა!..

სიცოცხლის ფერხულს ვერ ჩაჰბმოდა მხოლოდ მყინვარი. მის მწვერვალზე გამეფებულ ოლიმპიურს იღუმალებას ყვავ-ყორანთა მძაფრი ჩხავილი თუ არყევდა. წიალ-წიალით ფარა-ფარად მზეს აბნელებდნენ და გააფთრებით მისეოდნენ საუკუნოებით ნაანდერძევ გმირთა-გმირის ლეშს. მისი დახავსებულ ი მკერდი საწნახლად ამოეთხარნათ და ბასრი

ბრჭყალებით მარდად სწურავდნენ მის დამკვრახულ მტკივანა გულსა. წითელ-ლოყება მაჭარი თერგის მრისხანე ტალღებად მოჭქუხდა, ცამდე სტუორცნი-და შარდევანსა და, ვით მზის სისხლი სალამოს ჟამ ზე, ისე ჰღებავდა გედათ მფრინავ ქულა ღრუბლებსა. თვითონ გმირი კი უძრავად იყო მიჯაჭული, მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ყრმა გაზაფხულის სი-ცოცხლე აღარ ჰყოფნიდა მის ობ-მოდებულ დასი-ვებულ მკერდს. მძიმე სარქველად დამხობოდნენ თვალთა გუგნი. არავითარი შებრძოლება... ან საყ-ვედური... დამქნარა ველი სიამაყისა... თავისუფ-ლების... მისი გმირობა... უკმეხობა... სულის სიან-ლე... აზროვნების ცეცხლს მოსწყვეტია ცხოველი ალი და ნების სიკვდილს შეუპყვრია მისი არსება!.. მის ჭრილობათა ყვავილებიც ცივად იმლებიან, ყორანთა ფრთების ქარიშხლის ისრებს გულგრილად შეპყურებენ და უსიტყვოდ აგლეჯინებენ ხავსმოდე-ბულ ხუჭუჭა კავებს. ერთად-ერთია მოჭირისუფლე, მის ტანჯვასთან შეერთებული მწუხარე დემონი: უჩინარ სახით გულხელ დაკრებილი სდგას მიჯაჭულ ცოცხალ ცხედართან, მას არა სჯერა არსებობა სადმე სიმართლის, ანუ ზღაპრული მეუფისა. შუ-რის თვალეებით მიშტერებია სივრცეს, მქროლავ ქარიშხალს ატანს თავის თმების ნაგლეჯსა, თან პირს იხოკავს და თან ჰკივის მხოლოდ ერთ კით-ხვა:

— ოჰ, რისთვის?... რისთვის?... ან როდემდის?... ნეტავ როდემდის?!

მის მოპასუხედ მხოლოდ იგივე ჯადო-ქარი დედაბერია, იგი დასცურავს სივრცის ტალღით და მაჯავრელა თუთიყუშის ხმით აძლევს პასუხად მისივე კითხვას:

— რისთვის?... ოჰ, რისთვის?... ან როდემდის?... ნეტავ, როდემდის!?

დ. კასრაძე.

ქ რ ო ნ ი კ ა

უუნალ „კლდის“ რედაქცია იღებს შემო-წირულებას ქართულ თეატრის აღსადგენად.

მიიღო შემოწირულებანი: ექ. დ. ჯავახიშვი-ლისაგან — 20 მან., ირინე და ნათელა ვაჩნაძისაგან — 5 მანეთი, ციალა და ბიჭიკო გაბაშვილებისაგან — 5 მან., გივი ჯავახიშვილისაგან — 5 მან.

სამშაბათს, 7 ღვინობისთვის, თავად-აზნაურო-ბის დეპუტატთა და წინამძღოლთა საკრებულოს დარბაზში ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი მოხ-და ქართულ თეატრის აღდგენის თათბირის 29 წევრი კომიტეტისა, ორი საპატიო თავმჯდომარე და ოთხი საკანონმდებლო დაწესებულებათა წარ-მომადგენელი. სია საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება ქართულ დრამატიულ საზოგადოების საერთო კრებას. სიაში კომიტეტის წევრებად დასა-ხელებულნი არიან: განდგეილი (ერისთავი), კნენია მ. ვ. ორბელიანისა, კნენია ა. მ. წერეთლისა, კნენია ე. მ. წულუკიძისა, თ-დი ნ. რ. ერისთავი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, თ-დი პ. ი. თუმანიშვილბ, ვ. რ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, გენერალი გ. ნ. ყაზბეგი, ნ. ნ. ჟორდანიას, ს. გ. ფირცხალავა, დ. ვ. ვაჩნაძე, გ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ქურული, ს. ი. ფორაქიშვილი, ა. მ. ძეგველოვი, გ. ბ. გვა-ზავა, ნ. ი. ქარცივაძე, ვ. დ. ლამბაშიძე, ი. გ. გომართელი, ვ. ლ. გუნია, ნ. გოცირიძე, ა. წუ-წუნავა, ე. ს. თაყაიშვილი, ა. ვ. ჭიჭინაძე, თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი; კომი-ტეტის თავმჯდომარედ საგუბერნიო მარშალი თ-დი კ. ნ. აფხაზი საპატიო თავმჯდომარეებად მხცოვა-ნი მგოსანი აკაკი და თ-დი ა. სუმბათაშვილი (იუ-ჟინი). კომიტეტში საკანონმდებლო დაწესებულება-თა წევრთაგან ჩარიცხულ იქნებიან: სახელმწიფო საბჭოს წევრი თ-დი ა. დ. ერისთავი, სახელმწიფო-სათათბიროს დეპუტატები: ვარლამ გელოვანი, კარ-ლო ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქართ. დრამატიულ საზოგადოებას დაუდგენია პასუხისგე-ბაში მისცეს არჩილ ავალიშვილი, რომელსაც ბრალდება 2000 მანეთის გაფლანგვა. ეს სწორედ ის ავალიშვილია, რომელმაც გაფლანგა 7000 მან. ქ. სათ.-აზნ. გიმნაზიაში და როგორც ამბობენ, ასეთსავე „მოღვაწეობას“ ეწეოდა ქუთაისის დრა-მატიულ საზოგადოების გამგეობაში.

ქართველების ვაჟკაცობა.

ავსტრია-პრუსიის საზღვრებიდან ჩვენ გვატყო-ბინებენ, რომ ქართველი ჯარისკაცები და აფიცრე-ბი საუცხოვო ვაჟკაცობას და გმირობას იჩენენ. *Вели почти безъ исключенія*, როგორც სწერდა ერთი რუსი აფიცერი თავის მეგობარს. ბევრს წმინ-და გაორგის ჯვრებიც მიუღია ბევრს... ხის ჯვრები.

ამასაც მოწმობს სია მოკლულ-დაჭრილ ქართველ აფიცრებისა. მეტად უცნაურია მართლ ის, რომ რუსეთის სატახტო გაზეთებში, სადაც ვაჟკაცური ბრძოლა ბევრი მეომრისა მუდმივ იხსენიება, არც ერთი ქართველის სახელი არ მოიპოვება.

ახალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ანკარა“. თბილისში დაარსდა ახალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ანკარა“. ამხანაგობა მოქმედობს წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა 1908 წ. ნორმალურის წესდებით. ამხანაგობას, როგორც აღნიშნულია მის მიერ გამოცემულ მოწოდებაში, მიზნადა აქვს: „შეიძინოს თავისუფალი მიწები და მშრომელი მუშა წევრების გამრჯელო-



ლევან გაბაშვილი (ქრილობისაგან გარდაცვალებული).

ბით, მეურნეობის მოყვარულთა მხნე მოქმედებით და ამ საქმის მკოდნე პირთა ხელმძღვანელობით დაამუშაოს ეს შეძენილი მიწები და საზოგადოთ ფართოდ აწარმოვოს აქ მეურნეობის ყოველი დარგი თავის წევრთა ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.“ აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად ამხანაგობას განზრახვა აქვს „პირველ ყოვლისა შეიძინოს... მამული და დაუყოს თავის წევრებს სააგარაკო ადგილებად და პირად სამეურნეო წარმოებისათვის“ მიზანი ამხანაგობისა მეტად მარტივი და სიმპატიურია. დღეს ბლომად მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც სურვილი აქვთ გაიჩინონ სადმე მუდმივი კერა, მაგრამ დღევანდელ უკუღმართ პირობების გამო ათასგვარი დაბრკოლება ელოდებათ წინ. ამხანაგობის საშუა-

ლებით ასეთებს ადვილად და ხელსაყრელ პირობებში შეუძლიანთ იშოვონ ადგილი და შეძლების დაგვარად დაიმუშაონ იგი. ან მოაწყონ აგარაკები, რაშიაც დაეხმარება თვით ამხანაგობა. ამას გარდა ამხანაგობას მომავალში განზრახვა აქვს მოაწყოს თავის ახალშენებში მომხმარებელი დუქნები და თავის წევრთა ნაწარმოების გამსაღებელი საწყობები. ამხანაგობა „ანკარა“ თავისი მიზნის მიხედვით უახლოვდება ვერედ წოდებულ „საალმაშენებლო კოოპერაციას“ (строительная кооперация). საქიროა ჩვენში სხვაგვარ კოოპერატივებთან ერთად გავრცელდეს ასეთი კოოპერატივებიც. ვუსურვებთ ნორჩს ამხანაგობას დღეგრძელობას...

შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობა. მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ ქართლში დაარსდა მეხილეთა ამხანაგობა, რომლის მახლობელს მიზანს შეადგენს მეხილეთა ნაწარმოების გასაღება. ამხანაგობა სულ რამდენიმე თვეა, რაც დამტკიცდა და უკვე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი, თბილისის შუაგულ ადგილას, სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში (პუშკინის ბაღის პირდაპირ) გახსნა ხილის საწყობი და მაღაზია. საწყობს აუარებელი ხილი მოსდის წევრთაგან. ამხანაგობის საქმეებს განაგებს გამგეობა, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი მოქმედობს ქართლში, ჰკრებს წევრთა შორის ხილს და უგზანვის საწყობს, ხოლო მეორე — აქ, თბილისში, განაგებს საწყობს და მაღაზიას.

ზ რ ე ს ა

გაზ. „ახალ ივერიაში“ (გაზ. „ივერეთის“ მემკვიდრე) ბ. ნიკო ნიკოლაძე ასე ახასიათებს დღევანდელ დიად ბრძოლას:

„უენად დაჭკრალა ბუქმა თმისამ, და იმ წამსვე უგელასთვის ცხადი შეიქნა, რომ კროფნება, კროფნული თვით-არსებობა — რაგინდ მცირედი იყოს, — წარსულის „მურადი“ მტკვერი კი არა, უკვდავი და ცხოველ-მყოფელი ძლიერება უფაფილა. გავარდა თუ არა პირველი შეხი, კვამლივით გაჭქრა ბოდვა ხაღხთა-შუა ქმობაზე და მუდმივ მშვიდობიანობაზე. ერთბაშად მოისპო უოველ მხრით კროფნობის, კროფნული თვითარსებობის (САМОЫТНОСТЬ) უარ-

ყოფა. ერთი უოველგან წამოდგენ, თითქო დიდ-
 ხნობით დარაზმული ჯარი, წოდებისა და ჰარტიის
 განურჩევლად, მამა-პაპურის გრძობითა და შთამო-
 მავლურის მტრობით გაუდენთილება. არაფის მათ-
 განს სხვა არაფრის ხმა არ ესმის, გარდა მოდგმი-
 სს, წინაპრების აღთქმისა და სისხლისა. ჰეროფნე-
 ბამ, კლასებმა, ჰარტიებმა უეცრად სიზმარივით
 დაივიწყეს, რასაც მეთაურები მთელი სიცოცხლის
 განმავლობაში უქადაგებდნენ: საკუთარი სარგებლობა,
 წოდების სიკეთე, ჰარტიის გეგმა. რაღაც უცნობმა
 სტიქიურმა ძალამ ყველა ბრძოლის ველებისკენ გაი-
 ტაცა, უარნაყოფი ეროვნების საუკუნო ინტერესების
 დასაცველად. დღეს ის სიცოცხლეს სწირავს მას,
 რასაც გუშინ არ სცნობდა. არა თუ მიმყოფნი,
 წვრილ-ფეხნი, თვით მათი მეთაურნიც კი საქმით
 უარყოფენ მათ მუდმივ მცნებას. ვინც აქამდე უაღ-
 რეს ძალად ქვეყანაზე კლასთა-შორის ბრძოლას
 სთვლიდა, დღეს ამ კლასებს აერთებს, არიგებს,
 ამშობილებს ერის, ეროვნების სახელით და სა-
 სარგებლოდ. გუშინდელი მთარგუნველი მცირე ხალ-
 ხების თვით-მართველობის, დღეს მათ აღვიძებს და
 ჰატიუბს: „აღსდგით, აღემართენით, შეიძინეთ
 თვითარსებობა“: ასე თავისთავად ჰქრება ბურჟუა-
 ვით, ბუნების ძლიერების წინ, ყოველი შემცდარი
 მოძღვრება, თუნდა ასი წლის მეცადინეობა იყოს

ზედ დახარჯული. ერის ბუნებრივ მისწრაფების მო-
 სახვეჭად ხელფურცი საშუალება რადია, საჭიროა:
 დგება დღე და ბუნება თავის კანონებს ამარ-
 ჟებს.“

ეროვნული
 ბიზლიმთხვა


იმავე გაზეთის მე-3 №-ში ბ. ისარი მიუთითებს
 ქართველობის ღვაწლზედ კაცობრიობის წინაშე და
 ასე ათავებს თავის საინტერესო წერილს:

„ვისაც კი ქართველთა უკანასკნელი ისტორია
 წაუკითხავს, უნდა იცოდეს, რომ საკაცობრიო ის-
 ტორიაში ცოტა უოფილა მათი თავგანწირულის,
 გმირული ბრძოლის მსგავსი მაგალითი! დიად! საკ-
 ვირველია, ეს ჰატარა ერთი რომ საუკუნეთა განმავ-
 ლობაში თავისი ეროვნული ვინაობისა, რწმენისა და
 კულტურის დასაცავად ასე მედგრად იბრძოდა.


და მაშინ, როდესაც სისხლისაგან დაღლილმა
 ქართველმა ერმა რუსეთს შეაფარა თავი, მას უკ-
 ლებლად ჰქონდა დაცული თავისი ეროვნული ენა,
 ლიტერატურა, სარწმუნოება და ზნეჩვეულებანი.

იმავე დროს ქართველობის მონაწილეობა დღე
 ვანდელს დიდ ომში მრავალმხრივია.

და გვწამს, რომ ქართველთა ღვაწლს არ დაი-
 ვიწყებენ.



ინგლისის დრედნოუტის ზარბაზნები.



ქართული
ბიზლირთხე

ინგლისური მძიმე საავტომობილო არტილერია (ლამე მოგზაურობა).

ფულების გაფლანგვა თბილისის ქართულ გიმნაზიაში

თბილ. ქართველ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ გიმნაზიაში ფულის გაფლანგვის აღმოჩენამ.

გიმნაზიის კანცელარიის საქმის მწარმოებელი, დიბ. ეპიტაშვილიც დაუჭერიათ ქურდობაში და სამსახურიდან დაუთხოვიათ, ისევე, როგორც ავალი შვილი. ბევრისათვის, შეიძლება, ჩვენს გიმნაზიაში ფულების გაფლანგვა ახალი ამბავი იყოს?

სწორედ ათი წლის წინად პირველად მე აღმოვაჩინე გიმნაზიაში ფულის გაფლანგვა, რომელიც ბრალდებოდა იმავე ეპიტაშვილს, მაგრამ ნაცვლად იმისა,

რომ ეპიტაშვილი სამსახურიდან დაეთხოვნათ ლ პასუხის გებაში მიეცათ, — იგი თავის ადგილას დასტოვეს, ნიადაგი გაუმაგრეს და ხელი შეუწყეს, რომ მეტი ფული ეფლანგა. მაშინ ჩვენმა ზოგიერთა „საზოგადო მოღვაწეებმა“ ეპიტაშვილის ბოროტ-მოქმედება მიაფუჩჩეს, ის უმწიკვლო და პატიოსან კაცად დასახეს, ხოლო მე კინალამ ჯვარს მაცვეს და სამშობლოს მოღალატედ გამოამაცხადეს.


ათი წლის განმავლობაში ბევრი მილაპარაკნია და მიწერია ადგილობრივ პრესაში ჩვენს ეროვნულ დაწესებულებების, ქართულ გიმნაზიის შესახებ, ბევრი ნაკლი აღმინიშნავს როგორც სწავლა აზღრდის, ისე შეურნეობის მხრივ, გულით და სულით მსურდა, რომ ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი ეროვნული დაწესებულება, რომელზედაც დიდძალი ფული იხარ-

ჯებოდა და იხარჯება ეხლაც, კარგს ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული, რომ ყოველ შეძლებულს ქართველს ეამაყნა ამ დაწესებულებით. მაგრამ, ყოველივე ის, რაც მე და სხვას უწერია და უქვამს გიმნაზიის შესახებ, რჩებოდა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. გიმნაზია ხელმძღვანელებმა დალუპვის კარამდე მიიყვანეს... მხოლოდ წელს აეხადა ფარდა გიმნაზიის „მოღვაწეებს“...

ეხლა მოვალედ მიმაჩნია თავი მოვაგონო ქართველ საზოგადოებას ის წერილი, რომელიც მე დავბეჭდე ერთ-ერთ ტფ. გაზეთში ბ. ეპიტაშვილის შესახებ 10 ივნისს 1907 წ. აი რას ვწერდი მე მაშინ:

არიან ამ ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომლებიც რაიმე ბოროტებას სჩადიან. მაგრამ ასეთი მოქმედება შემთხვევითია, ის არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისებებით გამოწვეული, ასეთი ადამიანები ბოროტები არ არიან, მათ თან დაყოლილი არა აქვთ ბოროტების ჩადენა, იგინი ჩქარა გრძნობენ, რომ დანაშაულობა ჩაიდინეს, საჯაროდ აცხადებენ ამას და გულწრფელად ინანიებენ ყველაფერს და ერთხელ და სამუდამოდ ჰგმობენ თავიანთ საქციელს. არა თუ პატიების, პატივისცემის ღირსნიც კი არიან ასეთი ადამიანები. უცოდველი არავინაა ამ ქვეყნად, მათ თავიანთი სისუსტიით უნებლიედ დანაშაულობა ჩაიდინეს, მაგრამ მათ თითონვე დასდეს მსჯავრი თავიანთ თავს, — ასეთი ადამიანები

დიახაც რომ ჰატივისცემის ღირსნი არიან. სულ სხვაა მეორე ჯურის ადამიანები—იგინი აშკარად, ურცხვად, წინასწარ განზრახვით სჩადიან ბოროტ-მოქმედებას, საზიზღრად სარგებლობენ საზოგადოების ნდობით, ამავე დროს ცდილობენ დაჰფარონ თავი ანთი დანაშაული და როგორც უმანკო კრავი ისე გამოდიან საზოგადოების წინაშე და ხალხს ქვეყნის ამშენებლად და საზოგადო მოღვაწედ აჩვენებენ თავს. ხალხის, საზოგადოების წინაშე იგინი საზოგადო საქმისთვის თავდადებული, ზნეობით სპეტაკი, ქვეყნის მოამაგენი არიან, ხოლო ბნელ კუნძულში, სადაც ხალხი ვერ ხედავს, ქურდი, გაიძვერა, ხალხისა და საზოგადოების მოლაღატე საზოგადო საქმის დამღუპველი. აი ამ უკანასკნელ ჯურის ხალხს ეკუთვნის ბ. ეპიტაშვილი. აქ არ შევუდგები საქმის არსებითად განხილვას, რადგან ეს ბევრ დროს და ადგილს თხოულობს. მაგრამ ამავე დროს არ შემოიძლია საყოველთაოდ არა ესთქვა შემდეგი: ეპიტაშვილმა ისეთი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, რისთვისაც სასამართლო ღირსებას ახდის დამნაშავეს და გამასწორებელ რაზმისკენ გაამგზავრებს, ხოლო პატიოსან საზოგადოებაში არა თუ ხელს არ ართმევენ ასეთ კაცს, არამედ სამუდამოდ აძევებენ საზოგადოებიდან. ტყუილად ეპოტინება ბ. ეპიტაშვილი გამგე კომიტეტის ყოფილ წევრებს, იარევიზიო კომისიის წევრებს, ტყუილად იმედოვნებს მათ მიერ თავის გამართლებას და ფონს გასვლას. მოვახსენებ ბ. ეპიტაშვილს, რომ ზემოდ მოყვანილ თვალთაც არ უნახავთ ის საქმე, რომლიდანაც ამჟამად სჩანს თუ რა ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა მან. თავის დროზე მე განვაცხადე, თავად-აზნაურთა საზოგადოების კრებაზე და გაზეთებშიაც (თბ. უურ. № 135 .906 წ.), რომ ფაქტიური რევიზია არ ყოფილა, მხოლოდ ზეზეურად გადასინჯეს 1—2 წლის წიგნები გამოანგარიშების შეძლებით ჯამი გაუკეთეს იმ ციფირების, რომლებიც წიგნებში იყო ჩაწერილი. განა ეს რევიზიაა? განა ამ გვარ რევიზიით შეეძლოთ რისამე გაგება? არაფრისა. პასეკის საქმის შესახებ ეპიტაშვილის მიერ განმარტება აშკარა სიცრუეა. ყალბია აგრედვე ის ოქმი, სადაც შეტანილია თითქოს ჩემი ჩვენება ამ საქმის შესახებ. როცა მე 1901 წელს მიმიწვია ქართულ გიმნაზიის საამშენებლო კომისიამ საქმის მწარმოებლად, აღმოვაჩინე რომ კასის გამგეს ფულები გაეფლანგა. 1899—1901 წლამდე ამ თანამდებობას ასრულებდა ბ. ეპიტაშვილი და ცხადია გიმნაზიის ფულიც მისი ჯიბისკენ მიცურავ-



ერთი ეპიზოდი გერმანელ მზვერავ რაზმთან შეხვედრისა ფრანგულ ჰაეროპლანასაგან, რომელსაც თანა სდევს ყოველთვის ჯავშნიანი ავტომობილი.

და. როცა აშკარად დამტკიცდა, რომ ეს ბოროტ-მოქმედება ეპიტაშვილმა ჩაიდინა, ის ფულებს მოაშორეს, რომ გიმნაზიის ფულები მის ჯიბეს მოშორებოდნენ, დააარსეს მოლარეს ადგილი და ამ ადგილზე ახალი კაცი დანიშნეს. როგორც ზემოდა ვსთქვი ასეთ დანაშაულობისათვის სხვას გამასწორებელ რაზმში უკრავენ თავს, საზოგადოება ქვა და გუნდას მიაყრიდა, მაგრამ ეპიტაშვილს სულ სხვა გვარად მოეპყრნენ. აქ დიდი გავლენა იქონია ნათელ-მირონობამ, ნაცნობობამ და ის არა თუ გამასწორებელ რაზმში, გიმნაზიიდანაც არ დაითხოვეს. მართალია ფულის ყუთთან აღარ მიუშვეს, მაგრამ მწერლად ისევ დასტოვეს გიმნაზიაში. ეპიტაშვილს ფულები სჭირდებოდა და გიმნაზიის კასის ძირი გამოხრა. გიმნაზიის მესვეურებმა კასა შორს დადგეს რომ ეპიტაშვილი ადვილად ვერ მისწვდომოდა და თვითონ კი ისევ გიმნაზიაში დასტოვეს. მაშ ხომ ვერ გადაადგებდნენ? ეს კარგად იცოდა საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე ნ. ზ. ცხვედაძემ და სხვებმაც. საინტერესოა შემდეგი

გარემოება: რომ უფრო მაგრად ყოფილიყო გიმნაზიაში, რომ გავლენიან პირების გული მოეგო, ეპიტაშვილმა შემდეგ ხერხს მიმართა, ამ გავლენიან პირებში ნათელ-მირონობის ქსელი გააბა, ხელად გაჩარხა საქმე... ამგვარად ამ კაცუნამ, ფრიად დიდი გავლენა მოიპოვა სკოლაში. განა საქირთა ყველა ამის შემდეგ რისამებტკიცება? მხოლოდ ყველა ამას უნდა დაუმატოთ შემდეგი: მართალია ეპიტაშვილი ღებულობდა რაღაც 50—60 მ. თვეში და ისე დიდებულად და ლაღად ცხოვრობდა, რომ საზოგადო ყურადღება მიიპყრო (რით? ხარჯვით?).

(შემდეგი იქნება).

დიმიტრი ღუმბაძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი.

გაზეთ „რეში“ ბატონი ლევინი იხილავს, თუ რამდენად საფუძვლიანია გერმანელ მეცნიერებისა და ფილოსოფოსების ბრალდება, ვითომც ინგლისმა სრულიად უმიზეზოდ დაატრიალა დღევანდელი ომიო, ვინაიდან ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა გერმანიის მიერ ამ უკანასკნელის საუკეთესო შვილებს საკმარის საბუთად აღარ მიაჩნიათ ომის გამოსაცხადებლად. წერილის ავტორი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ განსაკუთრებით თვითარსებობის საკითხმა აიძულა ინგლისი ხელში იარაღი აეღო. იგი სწერს:

„რასაკვირველია, შეიძლება კაცო, როგორც უნდა იმ აზრისა იყოს ინგლისზედ, — გამოესარჩლებოდან თუ არა იგი მარტო ჰატარა ეროვნებათა უფლებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულების განუხლებულ წმიდათა-წმიდის სახელისათვის, რომ აქ მისი ინტერესი არ იყოს ჩარეული, მაგრამ ისე თვალსაჩინოა ამ ინტერესის სიდასდე, რომ საჭიროა სავანებოდ თვალის დაბრმავება, რომ კაცმა იგი არ დაინახოს.“

გერმანელ მსწავლულთა საპასუხოდ, ინგლისელებს შეუძლიანთ მოიყვანონ ინგლისელ ფილოსოფოს გობსის სიტყვები: საკითხი, რომ ორჯელ ორი თხზია, დაკავშირებული რომ იყოს ადამიანთა ინტერესებისთვის ბრძოლასთან, ჩვენ დღესაც არ გვექნებათ გამრავლების ცხრილი.“

ასკვიტის სიტყვა ღუმბლინში.

12 ენკენისთვის ქალაქ ღუმბლინში ბატონმა ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზედ, რომელიც ერთი მომენტითაგანია იმ აგიტაციისა, რომელიც დღეს სწარმოებს ინგლისში ჯარისკაცთა მისაგროვებლად.

შე მოგვიღი არა როგორც წვერი ცნობილი ჰარტიისა — ამბობს ასკვიტი — არა როგორც პოლიტიკური მოღვაწე, შე მოგვიღი, როგორც შეთაური შეთვის მთავრობისა, რომ ვსთხოვო ირლანდიას და-იჭირას თავისი ადგილი ჩვენი საქრთო საქმის დამცველთა რიგში. ესეა არ არის არავითარი საჭიროება მთავრობის ქცევის გასამართლებლად თუ დასაცავად ამ მოვლენილ კრიზისის ხანებში. წარსულში მომხდარა ომები, რომელთა შესახებ ჩვენ სხვა და სხვა აზრისა ვუფიქვართ.

გაისმოდან ხმა უკმაყოფილებისა ჩვენი დემოკრატიის მიმართ, შიშობდნენ ჩვენი პოლიტიკური კურსის მართებულობის შესახებაც. გამთქმულა ეჭვებიც ჩვენი საქციელის სამართლიანობის თაობაზედაც. თვით იმ ომის დროსაც, რომელიც ამ ასოდე წლის წინად ნამოვლენის ბატონობის წინააღმდეგ გაუჩნდეთ, იყო ერთგვარი უმცირესობა, რომელიც არდგებდა ჩვენს ეროვნულ მთლიანობას. ეს უმცირესობა იქცეულა ეურადღებას არა მარტო თავის სიმრავლით, არამედ შემადგენელ წევრების გულწრფელობის და პოლიტიკურ დირებულების მიხედვითაც.

არაფერი ამის მსგავსი დღეს აღარ არის. ჩვენ ჩვენს თავს ერთიან კრად ვგრძობთ, ან უკეთესების თვალსაზრისად, რომელიც გაერთიანებულა განურჩევლად სარწმუნოებისა, ჰარტიათა, ტომთა და ენისა, კლასთა და პრათესიებისა იმ ინტერესების და პრინციპების დასაცავად, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ბრიტანიის იმპერიისათვის, არამედ უკელა იმისათვის, რაც კი რამ ძვირფასი მოიხილება ჩვენს ცივილიზაციაში, რაც კი რამ საფუძვლად კაცობრიობის პრატრესის მომავლისათვის...“

ამის შემდეგ, სთვლის რა გერმანიის მიზეზად საერთა შორისო ომისას, იგი მიმართავს ირლანდიელებს.

„როგორ შეიძლება ირლანდიის ხალხი ერედ დაუხვდეს ჰატარა ხალხების ძახილს, რომ მივეშველეთ თავისუფლებისთვის ბრძოლაში? როგორ შეიძლება, ირლანდიელებო, გულხელ დაკრეფილი“

იყო, როდესაც საფრანგეთთან და რუსეთთან ერთად ჩვენ ვცდილობთ ბოლო მოუღოთ იმ თავსუდობას, რომელმაც კაცობრიობის უზღოვრეს უკუღკვარი აზრი დაუკარგა. მე მივმართავ ეროვნულ მოხალისეებს, მოუწოდებ მათ სანქაროთ ჩაეწიონ ჯარში. მე ვისურვებდი რომ ჯარში ირლანდიის კორპუსი იდგეს ცალკე, დამოუკიდებლად. გაქტრა ჩვენ შორის ძველი მტრობა. იგი როგორც შემდგომის ფოთლები გაიფანტა ოთხივე კუთხივ. ჩვენ შევადგინეთ ერთ ერს. აქ იძულებასე დაშარაკი არაა. მე მრწამს რომ თქვენ ნებაყოფლობით მოგვცემთ ჯარისკაცებს, როგორც თავისუფალ ზვარაკს თავისუფალ ხალხისას...

„ბელგია ზატარა აუვაგებელი მხარეა, იგი სრულიად არ არის დაინტერესებული ევროპის დავაში, აბა როგორ იფიქრებდნენ გერმანელები რომ ეს ზატარა ქვეყანა მზად იქნებოდა თავისი მიწა-წყალი მიუტოვო თავისი შვილების სისხლით, რომ მისი სოფელ-ქალაქები გადაეხრებოდა და გაეცარებოდა რომ ის ძვირფასი საგანძურია, რომელიც უანდერძებია წარსული დროის სათნოებს, მეცნიერებს და ხელფანებს, ფერფლად ქცეულიყო? და უკლა ეს იმიტომ რომ დაეცვა ნეიტრალიტეტის ხელშეუხებლობა.

მტარ-რინტოვან ხალხის ეგზომ მტკიცე სიუყვარული თავის ზატარა ხატერ მიწისადმი, რომელიც საბრალოდ გამოიყურება რუქასუდ, სიამაყე და შეურუვეელი სიუყვარული თავისუფალ ხალხისა თავის თავისუფალ სახელმწიფოსადმი, უკლა ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც არ მოლანდებია ჰატისდამელ ფილასოფოსებს. ისტორიამ იშვიათად იცის ასეთი უსწორ-მასწარობა თავდაშისხმელ და თავდაშცველ მხარეებ შორის. მარალური უთანასწორობაც და სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ამავე ზომისა იყო, ვინაიდან ბელგიელთა წინააღმდეგობამ არა მარტო შესცვალა კომუნისის მსვლელობა, მან დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ იდეებს, რომლებიც არც აწონვა შეიძლება და არც გაზომვა, ჯერ კიდევ შეუძლიათ ხალხთა აღფრთოვანება და ამოძრავება“...

„რ. ვ.“

რუსეთი.

ლატიშელი პუბლიცისტი ლეო ობოლინი ეხება „რუსკ. ვედ.“-ში ეროვნებათა საკითხს (ინაროდცებს) და ამბობს:

„მთელი საუკუნოები ვცხოვრობდით ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ჩვენი სული ერთი-ერთმანეთს

დაშორებული იყო... ესლანდელმა ომმა შესცვალა დირებულებანი და ერთი თვის განმავლობაში შესაძლებელი გახდა საერთო გზის გამონახვა. საერთო სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი კულტურის კონცენტრაციისათვის აუცილებელი იყო რენციაცია ცხოვრებისა, მისი ნაწილებისა — სხვა და სხვა ეროვნებათა.

მეცით უკლა ერს თავისუფლება მისი საკუთარი ცხოვრებისა და აზროვნებისა და დარწმუნებული იყავით რომ გაიზრდება ჯამი ჩვენი საერთო სამშობლოს კულტურისა. არის ბევრი რამ რის სწავლაც შეგვიძლიან ერთი-ერთმანეთისაგან. აქამდის კრიტიკას და სიძულვილს ვსწავლობდით, ესლავ ვისწავლათ ურთიერთობა და ერთმანეთის შეგნება. არა დაჯანბნა, არამედ ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა. გვეროდეთ, რომ „ინოვაციებს“ უუვართ უკლაფერი კარგი, რაც რუსებში არის... და არის ისეთიც, რაც შეუძლიანთ რუსებს ისწავლონ ინოვაციებისაგან. უაკულ ერსა აქვს თავისი ბედი და ხასიათი, რომელიც შეორისათვის გამოსადეგია .. ძალა ძმურ კავშირშია. ნუ დავიფიქვით ინგლისის მაგალითს.

„რუს. ვედ.“

ოსმალეთი.


ოფიცირი „ტანიინს“ მოჰყავს მოწოდება, რომლითაც მეფის მოადგილემ კავკასიაში მიმართა სომხებს; რათა სომხებმა მგზავსად ლაზარევისა და ლორის-მელიქოვისა და სხვათა, სიმართლითა და ერთგულებით ემსახურონ რუსეთს და სწამდეთ, რომ რუსეთის ძლიერ-მოსილი იარაღი მიანიჭებს მათ თავისუფლებას რუსეთის ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ და დასძენს:

„ჩვენა ვფიქრობთ, რომ მეფის მოადგილე სცდილობს ამ მოწოდებით გაუღენა მოახდინოს ოსმალეთის სომხებსე, რომლებიც ერთგულნი არიან ოსმალეთისა, სადაც მთელი ხუთა საუკუნის განმავლობაში შეუნარხუნებიათ თავიანთი ეროვნობა, სინდისის თავისუფლება და სჭერათ მადლი სახელმწიფო ადგილები. თუ მეფის მოადგილეს სახეში ოსმალეთის სომხები ჰყავს, რომლებიც ოსმალეთის ჯარში იმყოფებიან რუსეთის საზღვარსუდ, ტუუილად დაკარგული გარჯა, რადგან ოსმალეთი მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავს.

„ტანიინი დაასკვნის: არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ეს მოწოდება მიმართული იქოს ოსმალეთის ერთგულ ქვეშევრდომ სომხებისადმი, რად-

გან უოკელ შემთხვევაში ხვეწც დარწმუნებულნი ვართ, რომ დადგა ჟამა უკველა ერთეულების განთავისუფლება-დამოუკიდებლობისა. (რ. ს.)

ომი და მაშასადამე შედეგებიც გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ.



ქართული
კომუნისტური
პარტია

სომხები.

ახალ რუსულ-სომხურ გაზეთში „Кавказское Слово“ ვინმე მ. ბერბერიანი ფრიად საინტერესო წერილსა სწერს „სომხების საკითხზე“. შეეხება რა სომხების მდგომარეობას ოსმალეთში, იგი აღნიშნავს, თუ როგორ სისტემატიურად უცრუვდებოთ იმედები და უკანასკნელი „რეფორმებიც“ როგორ გაბათილდნენ საერთაშორისო ომის გამო.

„და ესაა ღამათა რეფორმებზედ კი არა, არამედ იმისთანა სისხლის დგრის თავიდან აცილებაზედ, რომელიც სომხებს დაუჭდათ სულ ახლად წარსულში 300,000 სულად...“

ცხადია, რომ სომხები ოსმალები მთავრობის თვალში, აბდულ-ჰამიდის და ენვერ-ბეის დროსაც, არიან აჯანყებულნი უკვე იმიტომ, რომ რუსეთისაკენ იწევიან და მასში ხელავენ მთავრებს და მომავალს მხსნელს ოსმალების მძიმე უღლისაგან; ამაში ეჭვი არ არის და არც ვადავთ ამას... სომხები ეწერებიან მახალისეებად რუსეთის და საფრანგეთის ჯარებში, მაშინ რადესაც ოსმალების სომხები უოკელ გზით სცდილობენ აიცილონ სომხედრო ბუკარა... და იმ დროს, რაცა ოსმალების სომხებს არა სურთ ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ქვეშევრდომი სომხები ოსმალებთან ბრძოლაში მისწრაფიან.

აი, მასხად ამ სტიქიურ მოვლენას შეიძლება მოჭევეს აკლებათ (Резерв), სასტემატიური და გამხეტებული. ასეთ ჰერსპექტივის წინაშე რუსეთის ქვეშევრდომ სომხებს არ შეუძლიანთ გუელგრიდად უოფნა და გასაკვირველი არ არის, რომ სომხური ინტელიგენციის უკველა წრე, მთელი სომხური ჰერსა შებაჭიდა სასტიკი საკითხის გადაწყვეტით: **რა ვქნათ?**

ეს უკანასკნელი „რა ვქნათ“, მოულოდნელი სასოწარკვეთილების ძახილია არა მარტო იმ გაბედული პოზიციის შემდეგ, რომელიც თამამად დაიჭირეს, სომხებმა, არამედ ბერბერიანის წერილისათვისაც. მით უფრო მოულოდნელი, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ დაძაბუნებულმა ოსმალეთმა გაბედოს ომი ძლიერ-მოსილ რუსეთთან. მოულოდნელია იმ მხრივაც, რომ სომხებს ყველაზედ მეტად სურდათ ეს

სტამბოლიდან.

ოსმალეთის სამხედრო გემების სერიზობა შავ ზღვაზედ გერმანელ ოფიცრების მეთაურობით, რუსეთის დიპლომატიურ წრეებში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს. უკვე ცნობილია ყველასაგან, რომ სამთა შეთანხმების სახელმწიფონი არ სცნობენ კანონიერად ოსმალეთის მიერ „გებენის“ და „ბრესლაუს“ შექმნას და აცხადებენ, ვის ბაირალის ქვეშაც უნდა დასცურავდნენ ისინი, მოკავშირეთა ფლოტი ორივეს გერმანულ გემებად ჩასთვლისო.

ცხადია „გებენის“ და „ბრესლაუს“ სერიზობას შავ ზღვაზედ წმინდა პროვოკაციული ხასიათი აქვს რუსეთის მიმართ. ამ ორ გემის შემთხვევით შეხვედრა რუსეთის ფლოტთან უეჭველია ურთიერთობას გაართულებსო ოსმალეთს და რუსეთის შორის. აქაური დიპლომატების აზრით, დღევანდელი მომენტი მით უფრო სახიფათოა რომ გარეშე ორი მოპირდაპირე ფლოტის შემთხვევით შეხვედრისა, არსებობს მეორე კიდევ უფრო საშინელი საფრთხე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთის ფლოტ-ი, რომელიც გერმანელ ოფიცრების ბრძანებლობას ემორჩილება, ბერლინიდან აღებულ პირველ ნიშნისათანავე, ერთბაშად შეესევა შავი ზღვის ნაპირის ადგილებს, თვით ოსმალეთის მთავრობის ნება-სურვილის წინააღმდეგ. (კ. ს.)

სომხებისათვის იირალის ჩამორთმევა.

ერზერუმში, კორინში და სხვა ოსმალეთის სომხების ქალაქებში მთავრობა სომხების ჯარისკაცებს იარალს ართმევს და მიწის თხრილების სამუშაოდა გზავნის. ეს ამბავი დიდს აღელვებას იწვევს სომხთა შორისო ამბობს ვახ. „პორიზონი“.

სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, ბ მა ჩელნოკოვმა, რომელიც ეხლახან ამოიჩინეს ქალაქ მოსკოვის თავად, განაცხადა:

— რასაკვირველია, მე თავს არ დავანებებ სახელმწიფო სათათბიროს დებუტატობას, რადგან ეს თვით ქალაქის საქმისათვისაც უკეთესი იქნება, მაგრამ ეხლავე უარს ვაცხადებ სადებუტატო ჯამაგირზედ.

„Кав. с.л.“-ში სწერია რუმინიაში დაჭრილ ძმ. ბექსტონების შესახებ:

ძმ. ბექსტონები ცნობილნი არიან ჩვენთვის, თბილისელთათვის. 1913 წლ. ზაფხულის ბოლოს ისინი იყვნენ პეტროგრადსა და მოსკოვში და შემდეგ თბილისით და ერევნის გუბერნიით—ოსმალეთის სომხებში.

მათი მიზანი იყო გამორკვევა სომხის ერის მდგომარეობისა, მისი სურვილებისა და რუსეთის მთავრობის შეხედულებისა სომხების საკითხზედ. იმავე წლის ღვინობისთვის, უკან დაბრუნებისას, კიდევ იყვნენ თბილისში და ითათბირეს სომხურ მოღვაწეებთან.

ევროპაში რომ დაბრუნდნენ, მონაწილეობას იღებდნენ სომხოფილურ კონფერენციაზედ პარიზში, როგორც ინგლისის დელეგატები.

სამხედრო-ტექნიკური გაუმჯობესებანი

სამხედრო ტექნიკა უკანასკნელ ხანებში გასაოცარ სიმაღლემდეა აყვანილი და სამთავრე სფეროში—ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში—ერთგვარის სისწრაფით იზრდება და ძლიერდება. ყოველს ახალს გამოგონებას უფრო და უფრო სასტიკი და გამანადგურებელი ხასიათი აქვს, რაც იმ თავდასაცავ და ხელშესაწყო იარაღებთან, რომლებსაც ახლა ხმარობენ—მთელს მეცნიერულად განზომილს მექანიზმს წარმოადგენს, ხალხის გამელეტ მექანიზმს. გერმანია, როგორც მილიტარისტული ქვეყანამ, ახალს ომში ყველაზედ საზარელი და საშინელი იარაღებით დარაზმული გამოვიდა და მასი შეიარაღების აღწერა ნათლად ხატავს თანამედროვე ომის სურათებს, ამიტომ შეუდგეთ მის გაუმჯობესებათა აღნუსხვას.

ჰაერში

გერმანიას აქვს ორგვარი ფლოტი ჰაერისა: ცეპელინები, ანუ ჰაერის მოძრავი გემები და ჰაეროპლანები სხვა და სხვა სისტემისა: ტაუბე, ფარ-

მანი, ბლერიო და სხ. ცეპელინი, დიდი, რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძე ბალონია, სხვსე წყალბადით. ამ ბალონს აბია ნავი, რომელშიც 10—30 კაცამდე შეიძლება დაეტოს. ნავთობის მალლა ჰაერში ყუმბარები, რომელსაც უშენეს ქაღალტებს და მტრის ჯარებს; ზვერავენ მტერს და ცნობებს აწვდიან თავიანთებს უმავთულო ტელეგრაფით, წერილობით, ან კაცის ჩამოსმით. გარდა ამ პირდაპირი დანიშნულებისა, ცეპელინები ასრულებენ მეორე ხარისხოვან როლსაც, მაგალითად ანტვერპენში თურმე ცეპელინებიდან ისროდნენ ნავთით და ბენზინით სავსე ცელულოიდის პატარა ბალონებს, რომელნიც ამზადებდნენ ნიადგს ცეცხლის მოკიდებისათვის. ამით ცეპელინებიდან ნიშანსაც აძლევენ თავიანთებს, თუ საით უნდა ესროლიათ ზარბაზნებ. ცეპელინების გვერდით უნდა დავაყენოთ რასაკვირველია ჰაეროპლანები, რომელნიც უფრო მსუბუქი, მოძრავი და გამბედავია თავის მოქმედებაში. ჰაეროპლანს სულ 2—3—4 კაცის ტარება შეუძლიან და ისე მძიმედ დატვირთული ვერ იქნება, როგორც ცეპელინი, მაგრამ მაინც შეიარაღებულია ყუმბარებით, ნავთის ბალონებით, ტყვიის-მფრქვეველით და სხ. ავიატორებიც თოფებით და რევოლვერებით არიან შეიარაღებულნი. ჰაეროპლანები საუკეთესო მზვერავები არიან და კიდევ ერთი ზედმეტი საშუალება აქვთ ბრძოლისა: პირდაპირი შეტაკებით მოპირდაპირე ჰაეროპლანთან, მაგრამ ეს, რასაკვირველია ღუპავს ორთავეს.

რალა თქმა უნდა, ყოველ თავდამსხმელ იარაღისათვის გამოგონილია შესაფერისი თავდამცველი იარაღიც. ჯერ ერთი თვით ცეპელინების ნაფები და ჰაეროპლანები რაც შეიძლება მეტად შეჭვდილნი არიან ჯავშანით, შემდეგ ცეპელინები სცდილობენ ხოლმე მოეფარონ ღრუბლებს და ღრუბელს ქვევით კი ჩამოუშვან მარტო პატარა ნავი, რომელიც ძნელი დასანახავია თვალით. ამ პასიურ თავდაცვის იარაღს გარდა, მოგონილია სპეციალური მძიმე და მსუბუქი ზარბაზნები, რომელნიც დედამიწიდან, (იხ. დღევანდელი სურათი) ან ავტომობილებიდან ესვრიან ყუმბარებს. ეს ყუმბარები სხვა და სხვანაირია. ცეპელინისათვის სასროლი ყუმბარა, ან თუნდ სულ პატარა თოფის ტყვიაც ისეა მოწყობილი, რომ გახვრეტს თუ არა ბალონის კანს, მაშინვე ააფეთქებს, რადგან წყალბადი ადვილი ასაფეთქებელია პლატინის (თეთრი ოქროს) საშუალებით, რომლითაც ამზადებენ სპეციალურ ტყვი-

ას. ჰაეროპლანების ყუმბარაც საგანგებოდ ისეა გაკეთებული რომ მთელ ტრაექტორიაზედ, ე. ი. გზაზედ, სტოვებს კვალსა (ეს კვალი ღამე განათებულია, როგორც შუშხუნის კვალი) და ამ კვალის მიხედვით აღვილია სასროლი მიზნის შემოწმება-შესწორება.

მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილი საჰაერო იარაღი, როგორც სჩანს, დიდს ზიანს ვერ აყენებს მტერსა და ამგვარად საერიშო ძალას არ წარმოადგენს — ისინი უფრო დამხმარე, მაშველს როლს თამაშობენ.

მეორე წყება ახლანდელი შეიარაღებისა არის წყალში.

ჩვენ არ ჩამოვთვლით სხვა და სხვა ზომის და სახელის ჯავშნიან გემებს, „ნალმოსნებს“ და „გამანადგურებელთ“ — ესენი ყველა სხვა ომებშიაც დიდ როლს თამაშობდნენ და ცნობილნი არიან. ახლანდელს ომში მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალმა ძლიერმა საზღვაო ერთეულებმა, სახელდობრ „დრედნოუტებმა“ და „ზედრედნოუტებმა“ — ესენი შეიარაღებულნი არიან უდიდესი 13,5 დიუმიან ზარბაზნებით, (იხ. დღევანდელი სურათი) სალაღმო აპარატებით და ფოლადის უძლიერესი ჯავშანით. მათი წყალთა-წყვა იზომება ათას ტონობით, მათი სისწრაფე 15 — 25 ვერსით საათში; მათი ეკიპაჟი 800 — 1,300 კაცამდე აღის. ასეთ გემებს ჩვეულებრივ ოთხი ლაღმის ჩაშვები ბილი აქვს და ახალ ფრანგულ ზედრედნოუტს ჰქონია ექვსი, როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს. საზოგადოთ, ბრძოლა დრედნოუტებისა ზარბაზნებით სწარმოებს, თუმცა რასაკვირველია გაშვებულ ლაღმებსაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა; ხანდახან გემების შეტაკებითაც სწყდება საკითხი. ამას ემატება ჰიდროპლანებიც, რომელნიც საზვერავ და საიერიშო სამსახურს უწევენ სამხედრო ესკადრას.

ლაღმები, რომელთაც ჩაუშვებენ ხოლმე სამხედრო გემები, ორგვარია; ერთი, რომელსაც წყალში ჩაუშვებენ და თავისუფალია, ანუ დასცურავს ტალღების ნებით, მეორენი, მოძრავნი, რომელთაც გასროლის დროს უმიზნებენ მტრის ხომალდს. ამ ლაღმებს გარეგნული შეხედულობა სიგარისა აქვთ, გატენილნი არიან ძლიერის მქუხარეებით და მოძრაობენ მექანიკურად მოწყობილ ბურღის შემწეობით; ან ავტომატიური მექანიზმით, ან შეჯგუფული

ჰაერით. მოძრავი ლაღმები უკანასკნელ დროს დიდი სიძლიერისანი არიან, ნამეტნავად წყალქვეშ მავალ ნავეებისა. ეს უკანასკნელი, როგორც ეტყობა, გერმანელებს საოცარის სისწორითა აქვთ აგებული. ისინი თავისუფლად დასცურავენ წყალზეთ რამდენიმე დღეს და წყალქვეშაც რამდენიმე საათის განმავლობაში. იტევენ 20 30-მდე კაცს და სრულიად დამოუკიდებლად შეუძლიან წასვლა რამდენიმე ათი და ასი ვერსის მანძილზედ. ლაღმები იმდენად ძლიერი აქვთ, რომ ისინი არა მარტო ხვრეტენ გემს, არამედ აფეთქებენ და ისეთს ზვინებს აყენებენ წყლისას, რომ ხომალდი ერთ წამში ყირაზე დგება და იძირება. წყალქვეშმავალების წინააღმდეგ ბრძოლა გაადვილებულია იმით, რომ ჰაეროპლანებიდან ყოველთვის კარგად სჩანან წყალში და მეორეც, თუ ძალიან ღრმად არ ჩაიყურყუმელავს, წყლის ზედაპირზედ სტოვებენ მოძრავ კვალსა, რითაც ემჩნევა თუ სად არის, ან სად მიდის.

გარდა ჩამოთვლილ „თავისუფალ“ და „მოძრავ“ ლაღმებისა, არის კიდევ უძრავი ლაღმები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მწკრივად არიან ჩაწყობილნი ისეთ ადგილებში, საცა არ უნდათ მტრის გემებმა გაიარონ. ეს ლაღმები სხვა და სხვა სიღრმეზედაა გაჩერებული, ღუზების ან საკიდებლების საშუალებით. მტრის გემი თუ წააწყდა, იფეთქებს და დაღუპავს მას. ამ ნაღმებით არის მაგალითად დაკეტილი მთელი გერმანიის ზღვები და ინგლისის უძლიერესი ფლოტი ვერა ჰბედავს მათ გარღვევას; მით უფრო რომ სანაპირო არტილერიაც მფარველობს იმ მხარეებს. ამ ლაღმების დასაქვრად ან გასაუქმებლად არსებობს ორი საშუალება: ან წინა ჰგზავნიან უვარგის გემებს ან ნავეებს და აფეთქებენ განგებ, ან იჭერენ ეკრედ წოდებულ ტრალერების შემწეობით, ე. ი. გემებიდან ჩაშვებულ ბადე თოკებით.

მეომარი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი

რ. ვაბაშვილი.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა

